

## არქეოლოგია ♦ Archaeology ♦ Археология

პროფ. პაატა ბუხრაშვილი  
(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

### ნაზარლების ნაქალაქარზე ჩატარებული ქართულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში

ჯერ კიდევ, 2007 წლის თებერვალში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე, შემუშავდა და ფართო საზოგადოებას წარედგინა სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი პროექტი – „კავკა-სიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“.<sup>1</sup>

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ილიას უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორისა (პროფ. გიგი თევზაძე) და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შედგა ორი კვლევითი ჯგუფი, რომელებმაც დაინიცეს ქვემო ქართლსა და შირაქის ველზე მდებარე უძგელესი ნამოსახლარების არქეოლოგიური შესწავლა. ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები გამოქვეყნებულია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში.<sup>2</sup>

შემდგომში, მთელი რიგი ობიექტები თუ სუბიექტები პირობებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი იძულებული გახდა შეეჩერებინა სამუშაოები აღნიშნული მიმართულებით; თუმცა, თავად ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი (ემერიტუსი აკად.

<sup>1</sup> იხ. „კავკასიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, ამირანი XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონერეალი-თბილისი 2007, გვ. 9-24.

<sup>2</sup> მაგ. იხ. პ. ბუხრაშვილი, ზ. ცქვიტინიძე, გომარეთის მამულოს პანტიანის ტყე-ში მდებარე მეგალითურ დასახლებაზე ჩატარებული დაზვერვითი სამუშაობის შესახებ, ამირანი XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონერეალი-თბილისი 2007, გვ. 25-36;

გ. ყიფიანი, „გომარეთის მეგალითური დასახლების განშენიანებისა და სამშენებლო ტექნოლოგიის საკითხები, ამირანი XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონერეალი-თბილისი 2007, გვ. 37-47;

კ. ფიცხელაური, ვ. ვარაზაშვილი, პ. ბუხრაშვილი, კ. ფიცხელაური, არქეოლოგიური სამუშაოები ნაზარლების ნაქალაქარზე და სამაროვანზე (2007 წის გაზაფხული), ამირანი XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონერეალი-თბილისი 2007, გვ. 48-58

კ. ფიცხელაური, ჰპროფ. ვ. ვარაზაშვილი, პროფ. მ. ელაშვილი, პროფ. პ. ბუხრაშვილი და სხვ.) საკუთარი ძალისხმევით მაინც ახერხებდნენ აღნიშნული საკითხების გარშემო მუშაობას.

2015/16 წ-ის მიჯნაზე, ჩვენი DAAD-ის მორიგი კვლევითი სასტიპენდიო დაფინანსების ფარგლებში, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში მივლინებისას, ჰალლეს მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორთან, პროფ. ფელიქს ბლოხერთან შეთანხმების საფუძველზე, გადაწყდა ერთობლივი ძალებით ზემოთ აღნიშნული საუნივერსიტეტო პროექტის განახლება.

2016 წლის ნოემბრის თვეში, პროფ. ფ. ბლოხერის საქართველოში სტუმრობის პერიოდში, ქვემო ქართლისა და კახეთის არქეოლოგიური ძეგლების მონაცელებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტუქტურის გაცნობის შემდეგ, დაინწერა კვლევითი განაცხადი გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების წინაშე (DOG - <http://www.orient-gesellschaft.de/>), ნაზარლების გვიანი ბრინჯაო-ადრენერინის ნამოსახლარზე პირველი<sup>3</sup> ფართო ხასიათის დაზვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად თანხების გამოყოფის თაობაზე.

<sup>3</sup> საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არსებული არქეოლოგიური ძეგლი და სხვა მსგავსი ტიპის ძეგლები, სამეცნიერო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-აანი წლებიდან გახსნდათ ცნობილი. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ მხარეში, იმ პერიოდისთვის არსებული მთელი რიგი გასაიდუმლოებული სამხედრო ობიექტების (მაგ. დამრტყელი ავიაპოლკი სოფ. ქვემო ქედთან და სხვა) არსებობის გამო, შეუძლებელი იყო იქ „არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება. მოგვიანებით, ე.წ. „გარდაქმნის პერიოდში“, როდესაც, ამ მხრივ, ცოტა შერბილდა აკრძალვები, 1986 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის არქეოლოგიურ ცენტრთან არსებული კაზეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელ. – აკად. კ. ფიცხელაური) ჩამოყალიბდა ცალკე საველე რაზმი ბეჭარიონ მაისურად ხელმძღვანელობით. ამ რაზმმა, მიუხედავად იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული შემაფერხებელი ფაქტორებისა და ქვეყნაში თანდათანობით შექმნილი ქასის ფონზე, მაინც შესძლო გარკვეული დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება აღნიშნულ მხარეში. ამის შესახებ, ბოლო, 1991 წ-ს ჩატარებული დაზვერვითი გათხრით სამუშაოების მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია არქეოლოგიური ცენტრის ჟურნალ „ძიებანი“-ს მე-4 ნომერში (ბ. მაისურაძე, გ. მიზნიაშვილი, აეროარქეოლოგია შირაქში, ძიებანი №4, თბ. 1999, გვ. 29-36 ).

მას შემდგომ, მხოლოდ 2007-09 წლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ამ ადგილზე ნარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარე პროცესში (რაც ძირითადად გულისხმობდა ნაქალაქარის აღმოსავლეთით, დაბლობზე, არსებული სამაროვანის შესნავლას) ნაზარლების ნაქალაქარის ციტადელის პირველსა და მეორე ტერასაზე სავარაუდო კარიბჭეების გამოვლენის მიზნით, პროფ. ვარაზაშვილმა გაავლო ორი სადაზვერვო თხრილი. თუმცა, შემდგომში შეაჩერა აქ სამუშაოები.

აღნიშნული საზოგადოებიდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, მივმართეთ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, რომელმაც, ჩვენს მიერ წარდგენილი სათანადო დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ გასცა ნაზარლების ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების ნებართვა – № 17/13.

და აი, მიმდინარე წლის 11 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით, დედოფლისნების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ პუნქტზე, რომელიც შესაბამის დოკუმენტებში მოხსენიებულია მთა „ნაზარლები“-ს სახელით, ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის (ჰალლე-ვიტენბერგი) ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია გვიანი ბრინჯაო-ადრე რეინის ხანის (ქრისტემდე მე-12-9 ს.ს.) ნამოსახლარის შესასწავლად.

ექსპედიციის შემადგენლობა:

ილიას უნივერსიტეტის მხრიდან – პროფ. პაატა ბუხრაშვილი, პროფ. გურამ ყიფიანი, ზურაბ ცეკვიტინიძე (არქეოლოგი), ბაკურ ჩერქეზიშვილი (მძღოლი), გიორგი ქაჯაია (მძღოლი).

ჰალეს უნივერსიტეტის მხრიდან – პროფ. ფელიქს ბლოხერი, ანიკა იოხესი (სტუდენტი), იუდით გვერდინი (სტუდენტი).

მაგისტრი შორენა დავითაშვილი (ჰამბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული – საკუთარი ხარჯით)

ექსპედიციამ სავალე სამუშაოები აწარმოა 13 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით; 16 სამუშაო დღის გამნავლობაში (წვიმიანი ამინდების გამოკლებით).

დამხმარე მუშებად მოვიწვიეთ სოფ. თავნიაროს მცხოვრებნი, მსგავსი ტიპის ძეგლებზე (ნამოსახლარები - „ტახტიფერდა“, „დიდ-ნაური“ და სხვ) სავალე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების 12-15 წლიანი გამოცდილებით, – პაატა უძილაური, ვანო უძილაური, ლევან უძილაური, თემურ აფციაური, ვანო ჯანიაშვილი, გია საკაშვილი, ვიტალი თოთაძე, შალვა არაბული – მძღოლი (თავისი მანქანით), გიორგი წიკლაური, ომარ ქოქუაშვილი.

დღის რეჟიმი:

05:00 სთ – ადგომა

05:50 სთ – ველზე გამგზავრება

06:30 სთ – სამუშაოს დაწყება

09:30 – 10:00 სთ – შესვენება

14:00 სთ – სამუშაოს დამთავრება

14:30 – დაბრუნება

15:30 – სადილი

19:00 სთ – ვახშამი

### სამუშაოების მიმდინარეობის აღწერა

ნაზარლების ციხე-ქალაქი, თავისი სტურქტურით წარმოადგენს ბუნებრივ ბორცვს, რომელიც, თავის დროზე, ხელოვნური თხრილებისა და ზეინულების მეშვეობით გამაგრებულ პუნქტად უქცევია მაშინდელ მოსახლეობას (ტაბ. I. ფოტო 1-2). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლი განსაკუთრებით ეფექტურია დასავლეთის მხრიდან, რომელიც აღმოსავლეთისკენ დაბლდება თანდათანობით. პროფ. ფ. ბლოხერის ვარაუდით, შესაძლოა ეს დადაბლება გამოეწვია საუკუნეთა განმავლობაში აღმოსავლეთის ქანობზე წყალთა დენას; თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება.

რადგანაც დრო გვქონდა მცირე, მოთათბირების შემდეგ გადაწყდა, ადგილზე, 2008 წელს გავლებული მცირე ზომის (1 მ. X 7 მ.) სადაზვერვო თხრილის<sup>4</sup> გაფართოება და გაღრმავება (ტაბ. 2 ფოტო 1-2). დედოფლისწყაროს მუზეუმში დაცულია აღნიშნული ყორლანის გათხრების შედეგად მოპოვებული ცალკეული მასალები.

აღნიშნული თხრილი გაივლო დასახლების შიდა შუა ტერასაზე და მიმართულია მეტ-ნაკლებად აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. მისი ზომები არის 12,50 X 4,50 მ და განლაგებული იყო მხარეს, რომელიც რკალად ეკვრის დასახლებას. ფაქტიურად, ეს თხრილი თითქმის სტერილური აღმოჩნდა, თუ არ ჩავთვლით ზედაპირ ფენში აღოჩენილ კერამიკულ ფრაგმენტებს, რომელიც ქართველი კოლეგების მიერ გვიანი ბრინჯაო - ადრე რკინის ხანით დათარილდა.

მას შემდეგ როცა გავაფართოვეთ და დავაღრმავეთ 3 მეტრით აღნიშნული თხრილი, მის დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა თიხნარი, სავარაუდოდ ბუნებრივი ზვინული (ტაბ. 3. ფოტო 1-2). ეს მხარე სრულიად სტერილური აღმოჩნდა კულტურული ფენებისგან და ამ ნაწილში შევაჩერეთ მუშაობა.

თხრილის აღმოსავლეთ ხაზილში კი ნიადაგი ნაძრავი იყო (რბილი, ნაყარი და ღია ყავისფერი) და ფიქსირდებოდა ნაცროვანი ფენები; გამოიკვეთა ქვის სუსტი წყობაც, რაც აქ ადამიანის ნახელავს ჰგავდა (ტაბ 4. ფოტო 1-2) და აღმოსავლეთით გრძელდებოდა.

<sup>4</sup> თხრილი აქ გაივლო, დასახლების მახლობლად, დაბლობზე, წარმოებული ყორლანის არქეოლოგიური შესწავლის პარალელურად, რომელსაც 2008-9 წ.ში აწარმოებდნენ ილიას უნივერსიტის პროფ-ები კ ფიცხელაური და ვ. ვარზაშვილი.

გამომდინარე აქვედან, 1 მეტრის განივი უღლის გამოტოვებით გადავწყვიტეთ მისი გრძივი გაფართოება აღმოსავლეთით. ამ მონაკვეთში გამოვლინდა მსხვილი ქვის ტიხრებით და ნაყარი მიზით (რომელიც მრავლად შეიცავდა გვიანი ბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის კერამიკის ფრაგმენტებს და ობსიდიანის წვრილ ნატეხებს; აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს სადგისი და ლილი) ამოვსებულ 4 მ-ის სიგანის კედლის ნაშთები, რომელიც ზემოდან წვრილი ქვების სქელი ფენით იყო მოგებული (ტაბ. 5 ფოტო 1-2). ეს სავარაუდოდ იმაზე მეტყველებს, რომ დასახლების გამაგრებული იარუსების კონსტრუქცია, სტრუქტურულად ამ მეთოდით არის ძირითადად ნაგები. ამგვარი სამშენებლო ტრადიციით (თუკი იგი ისტორიულ გამოვლინდა), სავარაუდოდ უნდა იყოს ნაშენი აქ სხვა ნაგებობებიც.

მესამე თხრილით, რომელიც კედლის გაყოლებაზე ჩრდილოეთის მიმართულებით გაივლო, და რომლისკენც იყო მიმართული 2008 წელს ვ. ვარაზაშვილის მიერ გავლებული სადაზვერვო შურფი, გამოვლინდა გალავანში ქვედა იარუსიდან შემოსასვლელი კარიბჭე (ტაბ. 6 ფოტო 1-2). მართალია, თავიდან ადგილზე კედლიდან ნაშალი ქვები ართულებდა ამ შემოსასვლელის გარჩევას თავდაცვითი კედლის დანარჩენის კონსტრუქციიდან, მაგრამ შემდგომში, დაღმავების შემდეგ, თანდათან ნათლად გამოიკვეთა ციტადელის ქვედა იარუსიდან ზემო იარუსზე გაჭრილი ეს შემოსასვლელი კარიბჭე.

### **გათხრითი სამუშაოების დოკუმენტაცია**

გათხრების მიმდინარეობისას, ველზე ორჯერ ჩამოვიდნენ ისუ-ს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები პროფ. მ. ელაშვილის ხელმძღვანელობით და აიღეს სიმაღლეები GPS ხელსაწყოების დაზმარებით. ამასთანავე, პერიოდულად, ნიველირის გამოყენებით, ხდებოდა საკოორდინაციო ათვლის წერტილების აღება როგორც ზედაპირზე, ასევე თხრილებში, საჭირო სიმაღლეებზე. პარალელურად ხდებოდა ფოტოგრამეტრიული მოდელისთვის ფოტოების გადაღება საბოლოო ორთოფოტოს შესაქმნელად (იხ. თანდართული დოკუმენტაცია). არქიტექტურული ელემენტები, სათანადო წესების გათვალისწინებით, გრაფიკულად ჩახატა და ნახაზები მოამზადა პროფ. გ. ყიფიანმა (იხ. თანდართული დოკუმენტაცია). ხდებოდა აგრეთვე ჩვეულებრივი ფოტოგადაღება ექსპედიციის წევრების მიერ.

### **განათხარი მასალა**

სამი სასრესი ქვა, ბრინჯაოს სადგისი, ბრინჯაოს ორი ლილი, ბრინჯაოს რგოლი (სავარუდოდ ხელის ბეჭედი) შეადგენს ამ მცირებისანი გათხრითი სამუშაოებით მოპოვებულ ინვენტარს. ყველა ეს ნივთი ჩახატულ-გადაღებულია, აღწერილია და დოკუმენტაციასთან ერთად ინახება ისუ-ის სამეცნიერო კვლევით ბაზაზე.

### **კერამიკა**

მოპოვებული კერამიკის ფრაგმენტები, პერიოდულად მუშავდებოდა ესპედიციის მონაწილე სტუდენტების ა. იოხესისა და ი. შულცის მიერ, უნივერიტეტის ბაზაზე სათანადოდ გამოყოფილ სათანადო სამუშაო ითახში. ყველა კერამიკული ფრაგმენტი, პროფილირებული თუ ორნამენტირებული, იქნა ჩახატული, გაზომილი და ფოტოგრაფირებული. სავარაუდოდ განსაზღვრული იქნა მათი კუთვნილებაც; კერძოდ ის, თუ რომელი სახის ჭურჭელს (გამოიკვეთა ჭურჭლის 14 სახეობა) განეკუთვნებოდა თითოეული. განათხარი კერამიკული მასალაც ინახება ისუ-ს სამეცნიერო კველევით ბაზაზე (ტაბ. 7 ფოტო 1-2).

### **დასკვნა**

ეს მცირებისანი არქეოლოგიური კამპანია, რომელსაც საფუძვლად დაედო საუნივერსიტეტთაშორისო თანამშრომლობა, წარმატებულად უნდა ჩაითვალოს; რაც დიდი განაპირობა ადგილზე არსებულმა კარგმა ინფრასტრუქტურამ, საუკეთესო სპეციალიზებულმა მუშახელმა, განხონასწორებულმა სახელფასო და საბაზრო-საგადასახადო ვითარებამ.

„ნაზარლები“-ს ნამოსახლარზე მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები საყურადღებო დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება შირაქში მდებარე დასახლებების სოციალურ-კულტურული ხასიათისა და სამშენებლო-არქიტექტურული სპეციფიკის განსაზღვრა წინა აზისა და მასლობელი აღმოსავლეთის გვიანდელი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის დასახლებებთან და სახელმწიფოებრივ გაერთიანებებთან მიმართებაში.

ურთიერთშეთახმების მიხედვით სამუშაოები უეჭველად უნდა გაგრძელდეს მომდევნო 2018 წელს და შეძლებისდაგვარად, მომდევნო წლებშიც.


### **მადლობა**

დასასრულ, მადლობა გვინდა გადავუხადოთ გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოებას და მთელს საექსპედიციო შემადგენლობას ჩატარებული საველე სამუშაოებისთვის.

ტაბ. I



1



2



1



2

ტაბ. 3



1



2



1



2

ტაბ. 5



1



2



1



2

ტაბ. 7



1



2